განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

## შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 201951637 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0203 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2018 წლის 11 ივლისის #74 გადაწყვეტილებით |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ვასილ კიკუტაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რუსუდან სეთურიძე, სსიპ - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის" საბაკალავრო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 11 ივლისის N74 გადაწყვეტილების საფუძველზე, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით. საბჭომ გადაწყვეტილების მომენტში მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, განხორციელებულიყო პროგრამაზე მონიტორინგი და შეფასებულიყო აკრედიტაციის საბჭოს/ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების პირობები. პროგრამის შემოწმება ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე. მონიტორინგის შემოწმების საფუძველია, აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 11 ივლისის სხდომის #26 ოქმის მიხედვით განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია ,,საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესში", სადაც გაწერილია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების დეტალები, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით დაკონკრეტდეს მოსალოდნელი სწავლის შედეგები;
2. რეკომენდებულია პროგრამის სპეციალობის არჩევითი დისციპლინების ბლოკიდან სასწავლო კურსები: რისკ-მენეჯმენტი და კორპორაციული მენეჯმენტი გადავიდეს სავალდებულო დისციპლინების ბლოკში და გახდეს სავალდებულო დისციპლინები, ხოლო თავისუფალი კომპონენტის სახით შეთავაზებული იქნეს გაყიდვების მენეჯმენტის სასწავლო კურსი;
3. რეკომენდებულია ,,მაკროეკონომიკის" სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს მიკროეკონომიკის სასწავლო კურსი და არა ,,კალკულუსი 1";
4. რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის და პრაქტიკის წინაპირობად, განისაზღვროს მე-8 სემესტრისათვის პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო დისციპლინების ათვისება;
5. რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,ბიზნესის კვლევის მეთოდები" დასკვნითი შეფასების მეთოდად გამოყენებული იქნას არა ტესტური შეფასების მეთოდი, არამედ უშუალოდ კვლევითი პროექტი, რომელზეც უნდა იმუშაონ სტუდენტებმა სემესტრის მანძილზე, ხოლო სასწავლო კურსში ,,პროექტების მართვა" სტუდენტის ცოდნის

შეფასებისათვის რეფერატის პრეზენტაციის ნაცვლად რეკომენდებულია პროექტის პრეზენტაციის გამოყენება;

6. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გაზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რიცხვი და შეამციროს მოცემული პროგრამის ფარგლებში ერთ აკადემიურ პერსონალზე გაწერილი წასაკითხი სასწავლო კურსების რაოდენობა;
7. რეკომენდებულია პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსების (მარკეტინგის მენეჯმენტი, მეწარმეობისა და ბიზნეს გეგმების ორგანიზება და მართვა, ბიზნესის ეთიკა და სამართლებრივი რეგულირება) სილაბუსში მითითებული იყოს გამოყენებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის, სალექციო კურსების გამოცემის წლები, მათი იდენტიფიცირების მიზნებიდან გამომდინარე;
8. რეკომენდებულია საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან ამოღებულ იქნა „მოლაპარაკების მეთოდები“;
9. რეკომენდებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსი „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ გადატანილ იქნას „პროექტების მენეჯმენტის“ წინ, V სემესტრში;
10. რეკომენდებულია სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსში „მეწარმეობის თეორია“ შეიცვალოს სავალდებულო ლიტერატურა და დაკორექტირდეს სასწავლო კურსის მიზნები;
11. რეკომედებულია „ბიზნესის საფუძვლების“ სასწავლო კურსის ფარგლებში მეტი ყურადღება დათმობოდა მარკეტინგისა და ფინანსების სწავლების საკთხებს;
12. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,ბიზნესის ეთიკა და სამართლებრივი რეგულირება“ შესასწავლი საკითხების და გამოყენებული ლიტერატურის გადახედვა და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა;

პროგრამის მონიტორინგის პირობების შესაბამისად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საანგარიშო პერიოდში აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების პაკეტი, რომლის მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებისას დადგინდა, რომ გაცემული რეკომენდაციები უპირატესად შესრულებულია.

წარმოდგენილი მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ვადა შეადგენს 4 წელს. 240 კრედიტი პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- სავალდებულო კომპონენტები - 176 კრედიტი;
- არჩევითი კომპონენტები - 44 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტები 20 კრედიტი.

პროგრამის სტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა შეიძინოს მენეჯმენტის სფეროში დასაქმებული სპეციალისტისთვის აუცილებელი, ორგანიზაციის, მისი გარემოს და მართვის თეორიების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების შესახებ ცოდნა. პროგრამაში გათვალისწინებულია 15 კრედიტიანი პრაქტიკის კომპონენტი და 10 კრედიტიანი საბაკალავრო ნაშრომი.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

პროგრამის შემოწმება ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის და მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტების მიერ განხორციელდა წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციების შინაარსის გათვალისწინებით პირველი და მეორე სტანდარტის სრულად, ხოლო მეოთხე და მეხუთე სტანდარტის ნაწილობრივ შეფასება, რამაც მოგვცა საშუალება მიგვეღო სისტემური სურათი პროგრამაში გამოთქმული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამის შეფასების პროცესში შეფასებული იქნა I, II სტანდარტები, 4.1 ქვესტანდარტი და 5.2 ქვესტანდარტი. ვინაიდან აღნიშნული სტანდარტები და ქვესტანდარტები შეფასდა დადებითად, შესაბამისად პროგრამა საერთო ანგარიშით სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- რეკომენდაციები
  - რეკომენდებულია ,,ბიზნესის საფუძვლების" სასწავლო კურსი მოიცავდეს იმ საკითხებს რომლებიც ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებს წარმოადგენს, მათ შორისაა მარკეტინგის და ფინანსების ფუნდამენტალური პრინციპები. აღნიშნული დეტალის გათვალისწინება საშუალებას მისცემს პროგრამის სტუდენტებს საფეხურებრივად, პრინციპით მარტივიდან-რთულისაკენ დაცვით მოახდინონ მათ შორის მარკეტინგის და ფინანსების საკითხების სიღრმისეულად შესწავლა;

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
  - სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები ოპერატიულად (დათქმულ ვადებზე ადრე) გაიწეროს მოქმედი კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების – აღმწერის მიხედვით, რაც კიდევ უფრო პროდუქტიულს გახდის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესებს;
  - სასურველია საბაკალავრო ნაშრომის სწავლის შედეგებში პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის ,,ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში" გათვალისწინებით დაკონკრეტდეს მოსალოდნელი სწავლის შედეგები;
  - სასურველია უნივერსიტეტმა მეტად შეუწყოს ხელი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო პროექტებში / კონფერენციებში ჩართულობას, რაც გაზრდის მათი საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობას და უფრო მეტ მნიშვნელობას შესძენს მათ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას;

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მოცემული ეტაპისთვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამში ფაქტობრივად სრულად არის გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 11 ივლისის N74 გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციები, კერძოდ:

- დაკორექტირდა პროგრამის სტრუქტურა, კერძოდ რისკ-მენეჯმენტი და კორპორაციული მენეჯმენტი გადავიდა სავალდებულო დისციპლინების ბლოკში, დაკორექტირდა საბაკალავრო ნაშრომის და პრაქტიკის კომპონენტის კრედიტების მოცულობა, გაიზარდა არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკი, დაემატა ახალი არჩევითი სასწავლო კურსები, პროგრამულად გაძლიერდა უცხო ენების სწავლების მოდული;
- დაკონკრეტდა საბაკალავრო ნაშრომსა და პრაქტიკის კომპონენტზე დაშვების წინაპირობები, დაკონკრეტდა ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობა;
- დაკორექტირდა ,,ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლებში“ და ,,პროექტების მართვის“ სასწავლო კურსებში გამოყენებული ცოდნის შეფასების მეთოდები;
- უნივერსიტეტმა გაზარდა აფილირებული აკადემიური პერსონალის რიცხვი, რითაც შეამცირა მოცემული პროგრამის ფარგლებში ერთ აკადემიურ პერსონალზე გაწერილი წასაკითხი სასწავლო კურსების რაოდენობა;
- განახლდა და დაკონკრეტდა ზოგიერთ სასწავლო კურსში მითითებული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა და ა.შ.

o **პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან**

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კურსდამათავრებულებს მისცეს მმართველობითი საქმიანობისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანი ცოდნა და გამოუმუშავოს პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. აღჭურვოს სტუდენტი კომუნიკაციური და კრიტიკული ანალიზის უნარებით, მოამზადოს კურსდამთავრებულები სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურებში, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში საქმიანობისათვის. ასევე, სწავლის გასაგრძელებლად მაგისტრატურაში ბიზნესის ადმინისტრირების ან სხვა მომიჯნავე სპეციალობებზე. პროგრამის მიზანი ცხადია, ნათლად არის ჩამოყალიბებული, მიღწევადია და ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, რაზეც მიუთითებს პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მდგომარეობა, კერძოდ პროგრამის კურსდამთავრებულები არიან დასაქმებულები, როგორც პროფილის მიხედვით ისე მომიჯნავე სფეროებში და მათი გარკვეული ნაწილი კი სწავლას აგრძელებს მაგისტრატურის საფეხურზე სპეციალობის მიმართულებით. პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია ასევე უნივერსიტეტის მისიასთ. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა შექმნას თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო გარემო ინოვაციური მეთოდების დანერგვით, ინტერკულტურული განათლებითა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული ღირებულებების მქონე თაობის აღზრდას. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული, შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, ორიენტირებულია შრომის ბაზარზე და მიღწევადია. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- კავკასიის უნივერსიტეტის უნივერსიტეტის მისია;
- მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- http://www.ciu.edu.ge/menu/mission - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს შესაბამისი კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმში შემავალი სასწავლო კურსები თანამიმდევრული და ლოგიკური ურთიერთშესაბამისობით ახორციელებს ბაკალავრის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის დაწესებულება იყენებს სხვადსხვა მექანიზმებს.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას და უნარებს რომლებსაც სტუდენტები

შეიძენენ პროგრამის დასრულებისას, კერძოდ - პროგრამის ათვისება ხელს უწყობს კურსდამთავრებულს რეალურ პრაქტიკაში წარმატებით განახორციელოს მმართველობითი, ორგანიზაციული, ეკონომიკური, საწარმოო, საფინანსო, მარკეტინგული, საინფორმაციო, კონსალტინგური, ინოვაციური და სხვა სახის ადმინისტრაციულ-მარეგულირებელი საქმიანობა. საგანმანათლებლო პროგრამის საფაკულტეტო და სპეციალობის დისციპლინების რიგი კომპონენტების წარმატებით დაძლევის შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია ადეკვატური მეთოდების გამოყენებით, დამოუკიდებლად გააანალიზოს ახალი დაგანყენებული მონაცემები, დაამუშაოს მიღებული ინფორმაცია, მოახდინოს მისი სინთეზი და გააკეთოს არგუმენტირებული დასკვნები. პროგრამის კომპონენტები კურსდამთავრებულს უვითარებენ მშობლიურ და უცხო ენაზე ვერბალური და წერითი კომუნიკაციის უნარებს, შეასწავლიან წერის, მეტყველებისა და პრეზენტაციის კულტურას. მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას თან ახლავს პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან შესაბამისობისა და პროგრამის სწავლის მიზნების სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუქები, სადაც ნათლად არის გამოკვეთილი აღნიშნული კავშირები.

დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. გამომდინარე აქედან პროგრამას თან ახლავს ,,პროგრამის სწავლის შედეგების (პსშ) შეფასების ანგარიში“ და პროგრამის სამიზნე ნიშნულები. აღნიშნული შეფასებებით დგინდება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამით დასახულ შედეგებთან, ამ მიზნით გამოყენებულია შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია იმის დადგენა, რომ სტუდენტმა განავითარა ის უნარები, რომელიც აუცილებელია ბიზნესკონტექსტში პრობლემების გადასაჭრელად, შეუძლიათ თუ არა წანამძღვრებისა და პირობების ფორმულირება, კვლევის საკითხის დასმა, ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. შეუძლიათ თუ არა შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება, საკუთარი საქმის ორგანიზება და თავისი შედეგებისა და რეკომენდაციების გადაცემა და არგუმენტირება/დაცვა. სწორედ აღნიშნული შეფასებების საფუძველზე, პროგრამაში გათვალისწინებულია მთელი რიგი მომენტები, კერძოდ გაძლიერებულია პროფესიულ დონეზე ინგლისური ენის სწავლება (არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში გადმოტანილია სასწავლო კურსები „პროფესიული ინგლისური მენეჯერებისათვის - 1“ და „პროფესიული ინგლისური მენეჯერებისათვის - 2), გამდიდრებულია არჩევითი სასწავლო კურსების მოდული, არჩევითი სასწავლო კურსების მრავალფეროვნებისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერების მიზნით, პოლონეთთან, ესპანეთთან და

| |
|---|
| ირანის რესპუბლიკასთან ჩამოყალიბებული ახალი შესაძლებლობების ხელშეწყობის მიზნით, ამ ბლოკს, პოლონურთან ერთად დამატებული აქვს კიდევ ერთი უცხო ენის შემსწავლელი სასწავლო კურსი: „ესპანური ენა - 1“, „ესპანური ენა - 2“, და „ირანისტიკა“. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;<br>o ანგარიში პროგრამის რეკომენდაციების შესრულების შესახებ; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>o სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები ოპერატიულად (დათქმულ ვადებზე ადრე) გაიწეროს მოქმედი კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების – აღწერის მიხედვით, რაც კიდევ უფრო პროდუქტიულს გახდის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესებს; |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის | √ | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შესაბამისობა | | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| |
|---|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

შეფასება

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ვადა შეადგენს 4 წელს. საბაკალავრო პროგრამში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი განსაზღვრული ბაკალავრის კომპეტენციების გამომუშავება და დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული სპეციალისტის მომზადება ხდება - საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო, სპეციალობის (მენეჯმენტის) და თავისუფალი კომ-პონენტების კომბინირების გზით. 240 კრედიტი პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

**სავალდებულო კომპონენტები - 176 კრედიტი:**

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 22 კრედიტი;
- საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) სავალდებულო სასწავლო კურსები – 58 კრედიტი;
- სპეციალობის (მენეჯმენტის) სავალდებულო სასწავლო კურსები – 96 კრედიტი;

**არჩევითი კომპონენტები - 44 კრედიტი:**

- საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი;
- საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) არჩევითი სასწავლო კურსები – 8 კრედიტი;
- სპეციალობის (მენეჯმენტის) არჩევითი სასწავლო კურსები – 26 კრედიტი;

**თავისუფალი კომპონენტები 20 კრედიტი.**

პროგრამის სტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა შეიძინოს მენეჯმენტის სფეროში დასაქმებული სპეციალისტისთვის აუცილებელი, ორგანიზაციის, მისი გარემოს და მართვის თეორიების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების შესახებ ცოდნა. ამ სასწავლო კურსების შესწავლით სტუდენტი იძენს აგრეთვე დარგობრივ პრაქტიკულ უნარებს, რომელიც შეესაბამება კურსდამთავრებულის მომავალი პროფესიული მოღვაწეობისათვის წამოყენებულ მოთხოვნებს. სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები სტუდენტს აძლევს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელ კომპლექსურ საბაზისო ცოდნას სპეციალობაში. ისინი ლოგიკურ კავშირში არიან ერთმანეთთან და თითოეული მათგანის ჩაბარება შესაძლებელია, სავალდებულო წინაპირობა გახდეს კურიკულუმით გათვალისწინებული დანარჩენი სასწავლო კურსების შესწავლისათვის. პროგრამაში გათვალისწინებულია 15 კრედიტიანი პრაქტიკის კომპონენტი და 10 კრედიტიანი საბაკალავრო ნაშრომი.

მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის წარმოდგენილ სტრუქტურასა და შინაარსში დაწესებულების მხრიდან არსებული რეკომენდაციების (**რეკომენდაცია #2:** რეკომენდებულია პროგრამის სპეციალობის არჩევითი დისციპლინების ბლოკიდან სასწავლო კურსები: რისკ-მენეჯმენტი და კორპორაციული მენეჯმენტი გადავიდეს სავალდებულო დისციპლინების ბლოკში და გახდეს სავალდებულო დისციპლინები, ხოლო თავისუფალი კომპონენტის სახით შეთავაზებული იქნეს გაყიდვების მენეჯმენტის სასწავლო კურსი; **რეკომენდაცია #3:** რეკომენდებულია ,,მაკროეკონომიკის“ სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს მიკროეკონომიკის სასწავლო კურსი და არა ,,კალკულუსი 1“; **რეკომენდაცია #4:** რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის და პრაქტიკის წინაპირობად, განისაზღვროს მე-8 სემესტრისათვის პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო დისციპლინების ათვისება; **რეკომენდაცია #8:** რეკომენდებულია საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან ამოღებულ იქნა „მოლაპარაკების მეთოდები“; **რეკომენდაცია #9:** რეკომენდებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსი „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ გადატანილ იქნას „პროექტების მენეჯმენტის“ წინ, V სემესტრში) შესაბამისად განხორციელებულია რიგი ცვლილებები, კერძოდ პროგრამის წარმოდგენილ სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებულია ,,რისკ-მენეჯმენტის“ და ..კორპორაციული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსები; ,,მაკროეკონომიკის“ სასწავლო კურსის წინაპირობად განსაზღვრულია მიკროეკონომიკის სასწავლო კურსი; დაკორექტირებულია ასევე

პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობები, კერძოდ მათ წინაპირობად განსაზღვრულია პროგრამის ისეთი წამყვანი ძირითადი (Key courses) სასწავლო კურსები, რომელთა შესწავლის გარეშეც სტუდენტი ვერც პრაქტიკას ვერ გაივლის და ვერც საბაკალავრო ნაშრომს შეასრულებს. შესაბამისად საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად განსაზღვრულია შემდეგი სასწავლო კურსები: სტრატეგიული მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, მეწარმეობის და ბიზნეს გეგმების ორგანიზება და მართვა და ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომელიც წინაპირობად დაემატა საანგარიშო პერიოდში. პრაქტიკის კომპონენტში წინაპირობად კი განსაზღვრულია შემდეგი სასწავლო კურსები: ბიზნესის საფუძვლები, სტრატეგიული მენეჯმენტი, ოპერაციული მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, მეწარმეობის და ბიზნეს გეგმების ორგანიზება და მართვა. შესაბამისად, ვინაიდან საბაკალავრო ნაშრომისა და პრაქტიკის წინაპირობად მითითებული სასწავლო კურსების უმეტესობას, თავად აქვს სხვა დანარჩენი სავალდებულო სასწავლო კურსები წინაპირობად აღნიშნული რეკომენდაცია დაკმაყოფილებულია. საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან ამოღებულია სასწავლო კურსი „მოლაპარაკების მეთოდები“; სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსი „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ გადატანილია „პროექტების მენეჯმენტის“ წინ, V სემესტრში. გარდა ამისა პროგრამის განვიტარების მიზნიტ საანგარიშო პერიოდში პროგრამის სტრუქტურაში განხორციელებულია, რიგი ცვლილებების, რომლებიც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას, კერძოდ სასწავლო კურსს „ბიზნესის კვლევის მეთოდები“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები“ მისი შინაარსიდან გამომდინარე, პროფესიულ დონეზე ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების მიზნით, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში გადმოტანილ იქნა სასწავლო კურსები „პროფესიული ინგლისური მენეჯერებისათვის - 1“ და „პროფესიული ინგლისური მენეჯერებისათვის - 2“ და საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსების მოდულს დაემატა სასწავლო კურსი „ეკო, აგრო, ღვინის ტურიზმი“. დაკორექტირებულია ასევე პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომების კრედიტების კრედიტების მოცულობაც, კერძოდ პრაქტიკა 18 კრედიტის ნაცვლად გახდა 15 კრედიტიანი ხოლო საბაკალავრო ნაშრომი 12 კრედიტის ნაცვლად გახდა 10 კრედიტიანი.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია რომ პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად, რათა საფეხურებრივი პრინციპით, მარტივიდან რთულისაკენ,

| |
|---|
| თანდათანობით მოხდეს იმ კომპეტენციების გამომუშავება და კვალიფიკაციის მიღება, რომელსაც, ზოგადად, პროგრამა და, კერძოდ, მისი მიზან-შედეგები ითვალისწინებს. შესაბამისად, სტუდენტი ვალდებულია სრულად აითვისოს საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, აგრეთვე საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები, პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;<br>o სასწავლო კურსის სილაბუსები;<br>o პროგრამის 2018 წლის 11 ივლისის (სხდომის ოქმი N26) აკრედიტაციის გადაწყვეტილება;<br>o ანგარიში პროგრამის რეკომენდაციების შესრულების შესახებ; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენის საბაკალავრო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსში მოცემული კომპონენტები იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

აკრედიტაციის ექსპერტების და აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამის მოცემულ კომპონენტში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- **რეკომენდაცია #1.** რეკომენდებულია ,,საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესში“, სადაც გაწერილია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების დეტალები, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით დაკონკრეტდეს მოსალოდნელი სწავლის შედეგები;
- **რეკომენდაცია #5**. რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,ბიზნესის კვლევის მეთოდები“ დასკვნითი შეფასების მეთოდად გამოყენებული იქნას არა ტესტური შეფასების მეთოდი, არამედ უშუალოდ კვლევითი პროექტი, რომელზეც უნდა იმუშაონ სტუდენტებმა სემესტრის მანძილზე, ხოლო სასწავლო კურსში ,,პროექტების მართვა“ სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის რეფერატის პრეზენტაციის ნაცვლად რეკომენდებულია პროექტის პრეზენტაციის გამოყენება;
- **რეკომენდაცია #7.** რეკომენდებულია პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსების (მარკეტინგის მენეჯმენტი, მეწარმეობისა და ბიზნეს გეგმების ორგანიზება და მართვა, ბიზნესის ეთიკა და სამართლებრივი რეგულირება) სილაბუსში მითითებული იყოს გამოყენებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის, სალექციო კურსების გამოცემის წლები, მათი იდენტიფიცირების მიზნებიდან გამომდინარე;
- **რეკომენდაცია #10.** რეკომენდებულია „ბიზნესის საფუძვლების“ სასწავლო კურსის ფარგლებში მეტი ყურადღება დათმობოდა მარკეტინგისა და ფინანსების სწავლების საკთხებს;
- **რეკომენდაცია #11.** რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,ბიზნესის ეთიკა და სამართლებრივი რეგულირება“ შესასწავლი საკითხების და გამოყენებული ლიტერატურის გადახედვა და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა;

აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ განხორციელებულია კონკრეტული ცვლილებები, კერძოდ:

- მიუხედავად იმისა, რომ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილია საბაკალავრო ნაშრომის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის აღნიშნულია, რომ საბაკალავრო ნაშრომის შესრულების შემთხვევაში ,,სტუდენტი მიიღებს არჩეული თემის ირგვლივ ღრმა თეორიულ ცოდნას, განივითარებს ინფორმაციის მოძიების, მისი კრიტიკული და შედარებითი ანალიზის უნარებს“, მიგვაჩნია, რომ ვინაიდან საბაკალავრო ნაშრომი ახდენს საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნის და უნარების ერთგვარ განმტკიცებას, რომლითაც საბოლოოდ უნდა შეფასდეს პროგრამის სწავლის შედეგები, სასურველია საბაკალავრო ნაშრომის სწავლის შედეგებში პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის ,,ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში“ გათვალისწინებით დაკონკრეტდეს მოსალოდნელი სწავლის შედეგები;
- დაკორექტირებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში ,,პროექტების მართვა“ და ,,ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები“ დასკვნითი შეფასების კომპონენტი, კერძოდ დასკვნით შეფასებებში გამოყენებულია შესაბამისად ,,რეფერატის“ და ,,ტესტების“ ნაცვლად პროექტის პრეზენტაცია და კვლევითი პროექტის პრეზენტაცია;
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში: მარკეტინგის მენეჯმენტი, მეწარმეობისა და ბიზნეს გეგმების ორგანიზება და მართვა, ბიზნესის ეთიკა და სამართლებრივი რეგულირება, დაკონკრეტებულია გამოყენებული ლიტერატურის და სასწავლო მასალების რეკვიზიტები;
